ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა № 355

« 29 » სექტემბერი 2017 წ.

ქ. თბილისი

ქ.თბილისში, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი №17-ის მიმდებარედ 20 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.10.14.009.024) ეკატერინე ვარდანაშვილისთვის (პ/ნ: 01024004371) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 122[1] მუხლის მე-6 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის N19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქ.თბილისში, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი №17-ის მიმდებარედ 20 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.10.14.009.024) ეკატერინე ვარდანაშვილისთვის (პ/ნ: 01024004371) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარდგენის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2017 წლის 15 სექტემბრის N34.15.663 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქ. თბილისში, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი №17-ის მიმდებარედ, 20 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი. №01.10.14.009.024) პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით ეკატერინე ვარდანაშვილისთვის (პ/ნ: 01024004371) გადაცემაზე, ღია კაფეს მოწყობის მიზნით.

2. შეთანხმდეს საიჯარო ქირის წლიური საფასური - 2 600 (ორი ათას ექვსასი) ლარის ოდენობით.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი